

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და
საშუალო საწარმოებისათვის*

შპს ბაღაუღებელი მედიცინის ცენტრი

2022 წ 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე მ ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
2. სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4 გვ
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-9 გვ.

შპს გადაუღებელი მედიცინის ცენტრი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშ- ვნები	31/12/2022 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2020 ლარში
ფულადი სახსრები	3	20 465	783 497	128 803
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	4	782 397	807 069	597 659
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	14 288	0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)	6	7 233	172 912	55 039
სულ მიმდინარე აქტივები:		824 383	1 763 478	781 501
გრძელვადიანი აქტივები ძირითადი საშუალებები	7	314 250	143 019	157 999
სულ აქტივები		1 138 633	1 906 497	939 500
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
სავაჭრო ვალდებულებები	8	166 445	247 805	486 729
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		89 379	146 940	137 635
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	86 914
სხვა ვალდებულებები	9	531 572	802 717	120 149
სულ ვალდებულებები		787 396	1 197 462	831 427
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	4 000	4 000	4 000
გაუნაწილებელი მოგება	11	345 037	702 835	104 073
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		2200	2200	0
		351 237	709 035	108 073
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 138 633	1 906 497	939 500

შპს “გადაუღებელი მედიცინის ცენტრი”-ის კლინიკური დირექტორი:
მიხეილ ღონღაძე



შპს გადაუდებელი მედიცინის ცენტრი

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნები	2022 ლარში	2021 ლარში
ამონაგები	12	2 111 090	4 037 444
სხვა		141 180	264 851
საერთო მოგება		2 252 270	4 302 295
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(759 870)	(993 509)
ცვეთა და ამორტიზაცია		(77 473)	(35 755)
საპროცენტო ხარჯი		(1624)	(5 365)
იჯარის ხარჯი	14	(84 927)	(98 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(1 466 747)	(1 632 787)
საოპერაციო მოგება		(138 371)	1 536 879
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(171 390)	0
მოგების გადასახადის ხარჯი		(48 037)	(38 117)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(357 798)	1 498 762
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში		709 035	108 073
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		0	(900 000)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	2 200
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს		351 237	709 035

შპს “გადაუდებელი მედიცინის ცენტრ”-ის კლინიკური დირექტორი:

მიხეილ ღონლაძე



შპს გაღაულებელი მედიცინის ცენტრი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

“გაღაულებელი მედიცინის ცენტრი” შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №1 / ლუბლიანას ქ. №5

საიდენტიფიკაციო ნომერი: 402005398

რეგისტრაციის თარიღი: 31/10/2014

ძირითადი საქმიანობა: საავადმყოფოს საქმიანობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *ძვირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომხმარებელს მომსახურება გაეწევა და შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაწეულ მომსახურებაზე.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახდო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარ-
- 5 -
მომსახურების გადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის

შპს გალაშქრებული მემლიცინის ცენტრი
გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში, როგორც იჯარის ხარჯი, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგების) აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო აქტივი წარმოიქმნება მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევიდან. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საგაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საგაჭრო ვალდებულებები

საგაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საგაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
ფულადი სახსრები სალაროში	1 620	195	815
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	18 845	783 302	127 988
	<u>20 465</u>	<u>783 497</u>	<u>128 803</u>

4. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	782 397	807 069	597 659
	<u>782 397</u>	<u>807 069</u>	<u>597 659</u>

5. გადახდილი ავანსები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
წინასწარი გადახდები იჯარაზე	14 288	0	0
	<u>14 288</u>	<u>0</u>	<u>0</u>

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
სამედიცინო სახარჯი მასალა და მედიკამენტები	7 233	172 912	55 039
	<u>7 233</u>	<u>172 912</u>	<u>55 039</u>

7. ძირითადი საშუალებები

	ტრანსპორტი	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
თვითღირებულება	ლარში	ლარში	ლარში	ლარში
1 იანვარი, 2022წ.	0	143 019	0	143 019
შემოსვლა	230 400	55 631	17 430	303 461
გასვლა	0	54 756	0	54 756
31 დეკემბერი, 2022წ.	230 400	143 893	17 430	391 723

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2022 წ.	0	335 782	0	335 782
წლიური ცვეთა	46 080	28 779	2 614	77 473
31 დეკემბერი, 2022 წ.	46 080	364 561	2 614	413 255

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2022 წ.	184 320	115 115	14 815	314 250
-----------------------	---------	---------	--------	---------

8. საგაჭრო ვალდებულებები

	31/12/2022 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2020 ლარში
საგაჭრო ვალდებულებები	166 445	247 805	486 729
	166 445	247 805	486 729

9. სხვა ვალდებულებები

	31/12/2022 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2020 ლარში
გადასახდელი დივიდენდები	529 057	801 269	118 487
გადასახდელი პროცენტები	2515	1448	1662
	531 572	802 717	120 149

10. საწესდებო კაპიტალი შპს-ში

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 4000 ლარს, რაც ფულადი სახით იყო შევსებული. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებლის გაწვევებით.

11. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას.

12. ამონაგები

	2022 ლარში	2021 ლარში
სამედიცინო მომსახურების გაწევა	<u>2 111 090</u>	<u>4 037 444</u>
სხვა	<u>141 180</u>	<u>264 851</u>
	2 252 270	4 302 295

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2022 ლარში	2021 ლარში
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	<u>759 870</u>	<u>993 509</u>
	759 870	993 509

14. იჯარის ხარჯი

	2022 ლარში	2021 ლარში
ფართის იჯარა	<u>84 927</u>	<u>98 000</u>
	84 927	98 000

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022 ლარში	2021 ლარში
პაციენტზე გახარჯული მედიკამენტები და სახარჯი მასალა	625 095	981 691
პაციენტის კვების ხარჯი	187 290	224 273
ტრანსპორტირების ხარჯი	1 237	9 346
ფიზ. პირების მომსახურება	35 046	55 920
სოციალური დანარიცხები	13 080	14 192
საკანცელარიო ხარჯი	3 919	1 825
კომუნიკაციის ხარჯი	4 202	3 702
კომუნალური ხარჯი	58 664	93 241
საწვავის ხარჯი	1 025	1 290
მივლინების ხარჯი	19 552	3 900
ძირ. საშ. მიმდინ. საექსპ. ხარჯი	10 935	16 180
საბანკო მომსახურების ხარჯი	4 524	1 094
სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>502 178</u>	<u>226 133</u>
	1 466 747	1 632 787

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 27 სექტემბერს.

შპს “გადაუღებელი მედიცინის ცენტრი“-ის კლინიკური დირექტორი:
მიხეილ ღონღაძე

